ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

აკადემიური უმაღლესი განათლების I და II საფეხურის -

საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

ბათუმი
2013

ზოგადი ინფორმაცია ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ:

- **სახელწოდება:** ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი;
- **დაარსების თარიღი:** 2008 წლის 28 მაისი.
- **მისამართი:** ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი 38
- **საკონტაქტო ტელეფონები:** 0422 29 25 25, 29 32 32, 25 42 92;
- **ფაქსი:** 0422 25 37 49;
- **ვებ-გვერდი:** www.bntu.edu.ge
- **ელ-ფოსტა:** info@bntu.edu.ge
- **რექტორი:** პარმენ ხვედელიძე, პროფესორი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი.
- **ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი:** ლალი ხვედელიძე.
- **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:** ნათია მიქელთაძე, პროფესორი.

ფაკულტეტები:

- **საზღვაო-საინჟინრო;**
- **ლოგისტიკა.**

აკადემიური უმაღლესი განათლება: I და II საფეხურები

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

- საზღვაო ნავიგაცია;
- გემის მექანიკა;
- გემის ენერგეტიკული დანადგარები;
- Marine Navigation (საზღვაო ნავიგაცია, ინგლისურენოვანი პროგრამა);
- საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სატრანსპორტო ლოგისტიკა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

1. საზღვაო ნავიგაცია;
2. გემის მექანიკა;
3. გემის ენერგეტიკული დანადგარები;
4. Marine Navigation (საზღვაო ნავიგაცია, ინგლისურენოვანი პროგრამა).

საკონტაქტო პირი: ეკატერინე მუსხაჯბა, დეკანი
ტ.: 593 34 02 65, ელ-ფოსტა: ekamuskhajba@mail.ru

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოკლე აღწერილობა:

პროგრამის სახელწოდება: **საზღვაო ნავიგაცია**
მიმართულება: მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები - 11
სპეციალობა: საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნავიგაცია/გემის მექანიკა/გემის ელექტრომექანიკა) - 1110
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საზღვაოსნო მეცნიერებების (საზღვაო ნავიგაცია) ბაკალავრი
Bachelor of Marine Science (BSc) (in Marine Navigation)
უმაღლესი განათლების საფეხური: I საფეხური, ბაკალავრიატი.
სწავლების ენა: ქართული.
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად – სრული ზოგადი განათლება, პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე საბაკალავრო პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით ბნსუ-ს და სხვა უსდ-ის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის (სტუდენტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბნსუ-ში არსებული, განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით). საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტების (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010) შესაბამისად საზღვაო ფლოტის გემების მცურავ შემადგენლობაში სამსახურისთვის ვარგისიანობის დასადგენად აუცილებელია ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობა (ფორმა № IV-100/ნ).

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: მომზადდეს საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილიკონკურენტუნარიანი, პრაქტიკულ მუშაობაზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის, მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ საქართველოს კანონის), საზღვაოსნო მეცნიერებების (საზღვაო ნავიგაცია) ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ტრანსფერული კომპეტენციები; საერთაშორისო კონვენციებით, ნორმატიული დოკუმენტებით და სტანდარტებით (კერძოდ, მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირების და ვახტაზე დგომის საერთაშორისო კონვენციით STCW-78/95, IMO-ს ნორმატიული დოკუმენტებით და სხვ.) განსაზღვრული საერთაშორისო სივრცეში პროფესიონალური საქმიანობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; ცოდნის მუდმივი განახლების და კომპეტენციების სრულყოფის, სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების და პროფესიონალური განვითარების, ეთიკური ნორმების დაცვის, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათი დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაცია; შეძლებენ სფეროს კომპლექსური საკითხების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის შედეგად სამსახურეობრივი (გემთწამყვანის) მოვალეობის შესრულებას, დარგისთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების გამოყენებით სიტუაციების და ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზს, პრობლემების მიზეზებისა და შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერებას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე კომუნიკაციას, საზღვაო (ნავიგაცია) ინგლისური ენის და ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით სამსახურეობრივი ვალდებულებების შესრულებას, გემის მულტინაციონალურ ეკიპაჟთან, დარგის სპეციალისტებთან, არასპეციალისტებთან და სხვ. წერით და ვერბალურ კომუნიკაციას, სპეციალური ინფორმაციის (ინსტრუქციების, წესების და სხვ.) გააზრებას და ინტერპრეტაციას, ქართულ ენაზე თარგმნას და უკუთარგმნას, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საზღვაო სფეროს სპეციალური კომპიუტერული პროგრამების გამოყენებას, საერთაშორისო საზღვაოსნო კონვენციების მოთხოვნების და ზღვაზე უსაფრთხოების წესების შესრულებას და სხვ.; აკადემიური უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელებას, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში კომპეტენციების და შესაძლებლობების სრულ რეალიზაციას, კარიერულ წინსვლას წარმატებული საქმიანობის შედეგად - მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ საერთაშორისო კონვენციის (STCW78/95) და მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟისა და სათანადო მომზადების საფუძველზე ეტაპობრივად მოიპოვოს საოკეანო-სავაჭრო გემის სამეთაურო შემადგენლობის გემთწამყვანის მორიგი წოდება და დაიკავოს თანამდებობა გემის კაპიტნის მორიგე თანაშემწიდან დაწყებული გემის კაპიტნის ჩათვლით.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულს აქვს საზღვაოსნო მეცნიერებების, კერძოდ საზღვაო ნავიგაციის, სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს შემდეგი კომპლექსური საკითხების კრიტიკულ გააზრებას და გაცნობიერებას: • საზღვაო ნავიგაციის სფეროსთვის დამახასიათებელი ასპექტების თეორიული საფუძვლები, თავისებურებები და ურთიერთკავშირები; • საზღვაო ნავიგაციის ცნებები, საზღვაო ლოციის, გემის ცირკულაციის და ობსერვაციის საკითხები, საზღვაო ტრანსპორტის მართვის საფუძვლები; • საზღვაო სანაოსნო გეოგრაფიის და მსოფლიო ოკეანეების გეოგრაფიის თეორიები და პრინციპები, საზღვაო გზების კლასიფიკაცია, საზღვაო გზების ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, საზღვაო გზების არჩევის პრინციპები, რეგიონალური, საერთაშორისო საოკეანო, კაბოტაჟური საზღვაო გზები და გემების ცურვის ოპტიმალური გზების განსაზღვრის ხერხები; • გემის გარემომცველი სივრცის, ატმოსფეროსა და ზღვის გარემოს ფიზიკური და ქიმიური თვისებები; • გემების კლასიფიკაცია და ტიპები მათი დანიშნულების მიხედვით, გემების არქიტექტურა და კონსტრუქცია, გემის კორპუსის ძირითადი კვეთები და გემის ძირითადი თვისებები, გემის სისტემები, შემადგენელი ნაწილები და კლასიფიკაცია, გემის ცირკულაცია და სვლადობა, გემის ცურვადობის, წონასწორობის პირობები და წყალწყვითი მახასიათებლები, მოთხოვნები გემების მდგრადობისადმი, მარაგი, წყალშიგჯდომა და წყალშიგის განსაზღვრების ნიშნები, გემის ტიპები სპეციალიზაციის, დიზაინის და სატვირთო ოპერაციების წარმოების მიხედვით, სატვირთო მარკა, საზღვაო ტვირთების გადაზიდვების სპეციფიკა; • სანავიგაციო კარტოგრაფიული პროექციების ძირითადი ტიპები, სანავიგაციო რუკების სპეციფიკა, კლასიფიკაცია, საზღვაო სანავიგაციო რუკებისადმი ნდობის ხარისხი; • გემის ადგილმდებარეობის იდენტიფიკაციის კონტროლის სისტემა, გემის ადგილმდებარეობის განსაზღვრის ხერხები, გემის ადგილის განსაზღვრის კლასიფიკაცია და გემის ადგილმდებარეობის და კურსის ასახვის მეთოდი; • გემის ნავსადგურიდან გასვლის, შტორმულ ამინდში სანაოსნოდ მომზადების და ყინულოვან წყლებში ნაოსნობის წესები;

	• ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების გავლენა საზღვაო ტრანსპორტის მუშაობაზე, გემის კურსზე და სიჩქარეზე, ზღვაოსნობის უსაფრთხოებაზე; • შეზღუდული ხილვადობის პირობებში და ვიწრობებში ნაოსნობის თავისებურებები, • სანავიგაციო ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, გემის სიჩქარის გამოთვლის პრინციპები, სიღრმის საზომი ხელსაწყოების მუშაობის პრინციპები; გემის რადიოტექნიკური საშუალებების და ელექტრონავიგაციური ხელსაწყოების დანიშნულება, კლასიფიკაცია, მუშაობის პრინციპები, გამოყენების წესები; • სამაშველო ოპერაციებისთვის გამოყენებული კავშირის სახეები, სიტუაციის მიწოდების კავშირი სამაშველო ოპერაციის ჩატარების ადგილზე (OSC) კოორდინატორსა და ძიება-გადარჩენის საკოორდინაციო ცენტრს (RCC) ან დამხმარე ცენტრს (RSC) შორის; საზღვაო რადიოტელექსი; ფონეტიკური ანბანი და კოდი რიცხვებით; ავარიულ შემთხვევაში გამოყენებული რადიოსიხშირე; საზღვაო კავშირის არხები; საჰაერო კავშირის არხები; სახმელეთო კავშირის არხები; ადგილის განსაზღვრის გლობალური სისტემა (GPS), გლობალური საზღვაო კავშირის სისტემა (GMDSS), თანამგზავრული კავშირის სისტემა INMARSAT-AB, გემის სახმელეთო სადგურების INMARSAT-C, მათი მუშაობის პრინციპები და გამოყენების წესები; • ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კავშირის (МСЭ) ცნობარების სტრუქტურა; ცნება ECDIS ელექტრული გამოსახულებითი რუკების საინფორმაციო სისტემები და IMO-ს მოთხოვნები ECDIS-სადმი; კავშირი უბედური შემთხვევის დროს, ულტრამოკლე და მოკლე ტალღური სიხშირის ავარიული რადიოსადგურის დანიშნულება და სარგებლობის წესები; • საექსპლუატაციო პროცედურები; გემის დოკუმენტაციის წარმოების წესები, კაპიტნის თანაშემწის ქმედებები სავალი ვახტის, უბედურებების და უსაფრთხოების, გიროკომპასის მწყობრიდან გამოსვლის, საჭის მანქანის მწყობრიდან გამოსვლის, სხვა გემთან შეჯახების, ხანძრის წარმოშობის და ა.შ. შემთხვევაში, სანავიგაციო ხიდურზე ვახტის ორგანიზების ზოგადი პრინციპები; • ძიება-გადარჩენის სამაშველო ოპერაციების ჩატარების რეკომენდაციები და ვალდებულებები; • საერთაშორისო საზღვაო სამართლის საკითხები, გემის დროშის სახელმწიფოს იურისდიქციის სამართლებრივი ბუნება; საზღვაო გემის სამართლებრივი სტატუსი; სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქცია ტერიტორიალურ ზღვაში; ნაციონალური კანონმდებლობა ტერიტორიალური ზღვის შესახებ; საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO), ზღვაოსნობის კომიტეტი (IONKTAD), საერთაშორისო ოკეანოგრაფიული კომისია (MOK) – მიზნები, სტრუქტურა, საქმიანობის ფორმები და ძირითადი მიმართულებები; ზღვის გარემოს საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის მოთხოვნები; ზღვაოსნობის უსაფრთხოების სამართლებრივი უზრუნველყოფა; მეზღვაურთა საერთაშორისო შრომის კოდექსი; საზღვაო გადაზიდვასთან დაკავშირებული სავაჭრო კონტრაქტის ტიპური პირობები; ტვირთების საზღვაო გადაზიდვების საერთაშორისო-სამართლებრივი დარეგულირების საკითხები; მგზავრების საზღვაო გადაყვანის მოთხოვნები; საერთო ავარიის ცნება, გემების შეჯახების გამო პასუხისმგებლობის პირობები; • ტვირთის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის ძირითადი პირობები; ტვირთის დაზღვევა, ტვირთის გადაზიდვისა და ადგილზე მიტანის პასუხისმგებლობა; INCOTERMS - International commercial terms – მყიდველისა და გამყიდველის მოვალეობები; სატრანსპორტო პირობები; ექსპორტ-იმპორტის გადაზიდვების კომერციული დოკუმენტაცია; კონოსამენტი; სატვირთო მანიფესტი; БИМКО-ს პროფორმის დოკუმენტაცია; გენერალური ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციის თავისებურებანი; საზღვაო გადაზიდვების ხელშეკრულების სახეები; სარეისო ჩარტერის კომერციული პირობები; გემების არენდა; გემის მენეჯმენტის ორგანიზაციის პრინციპები; Shipman კონტრაქტი**;** ISM code-ის მოთხოვნები ტექნიკური მენეჯერისადმი; კომერციული მენეჯმენტის ორგანიზაციის საფუძვლები; ჩარტერული ტერმინოლოგია; გემების აგენტირება, აგენტის ნომინირება, აგენტის სახეები; პორტში გემის შესვლის პირობები; გემების სტივიდორული მომსახურების ნორმები; გემის სურსათით მომარაგების ორგანიზაციის ძირითადი პირობები; კლასიფიკაციური საზოგადოების ფუნქცია; ბუნკირების ორგანიზაციის პროცედურები; მოთხოვნები გემის პერსონალისადმი; • ავარიულ სიტუაციებში გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის საკითხები, საგანგაშო სიტუაციებში ქცევის წესები, გემის სიცოცხლისუნარიანობისათვის ბრძოლის, სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები; • საერთაშორისო საზღვაო კონვენციების საკანონმდებლო აქტების მოთხოვნები ნაოსნობის უსაფრთხოების და გარემოს დაბინძურებისაგან დაცვის წესები და თავისებულებები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • საზღვაო სანავიგაციო რუკების გამოყენება, წაკითხვა, საზღვაო რუკებზე მანძილის გამოთვლა; გემის მოძრაობის მიმართულების განსაზღვრა; გემისადგილმდებარეობის დატანა რუკაზე; გემის სიჩქარის გამოთვლა, სანავიგაციო ხელსაწყოების, ინსტრუმენტების, სანავიგაციო ტექნიკური საშუალებების გამოყენება; ნაოსნობის უზრუნველყოფა შეზღუდული ხილვადობისას; რუკაზე გემის დრეიფული სვლის დატანა და შესაბამისი პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღება; საზღვაო ლოციის გამოყენება ცურვის რაიონის გაცნობისათვის; გემის ვიწრობებში მოძრაობის წესების სწორად გამოყენება სიტუაციის შესაბამისად; ყინულოვან წყლებში ნაოსნობის წესების სწორად გამოყენება და სიტუაციის შესაბამისად ქმედებების სწორად შერჩევა; • რადიოტექნიკური საშუალებების და რადიოლოკაციური დანადგარების გამოყენება; რადიოლოკაციური გამოსახულებების წაკითხვა, მიღებული

	მონაცემების ანალიზი და შესაბამისი ქმედებების გატარება; გემის ადგილმდებარეობის განსაზღვრა რადიოლოკაციური სადგურის მეშვეობით; რადიოსალოკაციო სადგურის მართვა; თანამგზავრული რადიოსანავიგაციო სისტემა GPS sistem გამოყენება; გლობალური საზღვაო კავშირის (GMDSS) სისტემების გამოყენება; თანამგზავრული სისტემის INMARSAT, KOSPAS-SARSA, გემის რადიო სადგური INMARSAT, NAVTECS, ჯგუფური გამოძახების მიმღების KOSPAS-SARSAT, ავარიული რადიო ტივტივას, მობილური კავშირის გამოყენება; რადიომოწყობილობების შემოწმება; კავშირის საექსპლოატაციო პროცედურების მართვა უბედური შემთხვევის დროს; • ცის სფეროს დახასიათება, საზღვაო ალმანახის პრაქტიკაში გამოყენება და საზღვაო ალმანახებში ან საზღვაო ასტრონომიულ ყოველწლიურში გრინვიჩის დროის ნებისმიერი მომენტისათვის მნათობის გეოგრაფიული მდებარეობის, საათობრივი კუთხის და დახრილობის განსაზღვრა; კომპასის სწორება ციურ მნათობებზე დაკვირვებით; მნათობთა პარალაქსური სამკუთხედის ამოხსნა, მნათობის აზიმუტის განსაზღვრა ცხრილების გამოყენებით; მზისა და ვარსკვლავების მიხედვით სექსტანის ინდექსის შესწორების განსაზღვრა, სექსტანის მეშვეობით კუთხის გაზომვა, სექსტანის ინდექსის შესწორება, ადგილობრივი დროის გრინვიჩის დროში გადაყვანა გრძედით; გემბანის საათის და ქრონომეტრის შესწორების გამოთვლა; ადგილის განედის განსაზღვრა მზის მერიდიანული სიმაღლის მიხედვით; ვარსკვლავთა გლობუსის გამოყენება; ციურ მნათობებზე დაკვირვებით და ასტრონავიგაციური მეთოდების გამოყენებით გემის ადგილმდებარეობის წერტილის დატანა ნავიგაციურ რუკაზე; • გიროსკოპზე გარე ძალების ზემოქმედების გამოთვლა; გიროკომპასის საექსპლუატაციო შემოწმებები, მოვლა და გამოყენება; კურსის ასახვის სიზუსტის დადგენა და დაყენება; მაგნიტური კომპასების დევიაციის განსაზღვრა; დევიაციის ცხრილებზე მუშაობა და მისი გამოყენება; ექოლოტის გამოყენება; გაზომვის ცდომილებების წარმოქმნის განსაზღვრა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებების გატარება; • გსკსუ-ს კავშირგაბმულობის სისტემებზე მუშაობა; ზღვაზე უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის გადაცემა; გემის რადიოსადგურების აუცილებელი დოკუმენტაციის გამოყენება; ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კავშირის (МСЭ) რადიოარხების, გამოძახებითი და სამუშაო სიხშირეების, რადიოტალღების და სიხშირული დიაპაზონების მოძებნა და გამოყენება; შეტყობინების მიღება-გადაცემა; შეტყობინების და გადასაცემი ინფორმაციის შედგენა; უბედურების შესახებ შეტყობინების რეტრანსლაცია და დადასტურება; სანაპირო რადიოსადგურების არჩევა; კოორდინატების შეყვანა და კორექტირება; სანაპირო რადიოსადგურებთან რადიოტელექსურ გაცვლაში გამოყენებადი ძირითადი ბრძანებების გამოყენება; პირდაპირი სატელექსო კავშირგაბმულობის დამყარება სპეც. სამსახურებთან, სანაპირო და გემის აბონენტებთან; მიღებული შეტყობინების მარშრუტიზაცია; გემის სახმელეთო სადგურების INMARSAT-C გამოყენება საზღვაო გემების ადგილმდებარეობის კონტროლისა და მონიტორინგის გლობალურ ავტომატიზირებულ სისტემაში; ულტრამოკლე, მონაკვეთური/მოკლე ტალღების და ულტრამოკლე გადასატანი რადიოსადგურის გამოყენება; • ზღვაოსნობის უსაფრთხოების მიზნით ოპტიმალური საზღვაო გზების შერჩევა და რუკაზე სრულყოფილი ორიენტაცია; გემების ურთიერთშეჯახების თავიდან აცილება COLREG-ის თანახმად; • სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად პრაქტიკული ხასიათის პროექტის და პრაქტიკული ხასიათის ამოცანის შესრულებისას საზღვაო გადაზიდვების ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინება; საზღვაო გეოგრაფიის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება-შეფასება, ინტერპრეტაცია და წარმოქმნილი პრობლემის გადაჭრის მიზნით ადეკვატური გზების დასახვა; • ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების წარმოება; ამინდის მოკლევადიანი პროგნოზის შედგენა; მეტეოროლოგიურ და სინოპტიკურ რუქებზე მუშაობა და წაკითხვა, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების გამოყენება; • ძირითადი საერთაშორისო კონვეციების და ნაციონალური ნორმატიული დოკუმენტების გამოყენება; პირადი უსაფრთხოების და საზოგადოებრივი პასუხისგებლობის უზრუნველყოფის წესების დაცვა; პირველადი სამედიცინო დახმარების წესების და მეთოდების გამოყენება; უსაფრთხოების მართვის საერთაშორისო კოდექსი ISM Code გამოყენება; პასუხისმგებლობის და მოვალეობის მიხედვით გემების ეკიპაჟების წევრთათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა და მათი სიცოცხლის დაცვა; ინდივიდუალური და კოლექტიური დამცავი საშუალებების გამოყენება; პასუხისმგებელი ოფიცრების მოვალეობის შესრულება; სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა და მიღებული მითითებების შესაბამისად სამუშაოების შესრულება; გარემოს დაცვის საერთაშორისო ნორმების დაცვა MARPOL-ის თანახმად. სატვირთო-საბალასტო ოპერაციების ჩატარება; დატვირთვა-გადმოტვირთვის ხელსაწყოების გამოყენება; • ძიება-გადარჩენის სამაშველო ოპერაციების კოორდინაცია და დაკისრებული ვალდებულებების შესრულება; ძიების დაგეგმვა და სამაშველო ოპერაციების ჩატარება; უბედურ შემთხვევაში დაზარალებულების დახმარების გაწევა; კოორდინატორის მოვალეობების და დავალებების შესრულება; ადგილზე ჩატარებული სამაშველო ოპერაციების კავშირის დამყარება; ძიების სქემების გამოყენება; ძიების დასრულების შემდგომი ქმედებების განხორციელება; • ბრძოლა გემის სიცოცხლისუნარიანობისათვის; ცურვადობის ელემენტების განსაზღვრა; ბონჟანის მასშტაბის გამოყენება; გემის სიმძიმის ცენტრის კოორდინატების განსაზღვრა; ჰიდროსტატიკური მრუდების ნახაზი და მისი გამოყენება; განივი მდგრადობის მეტაცენტრული ფორმულის გამოყენება და გვერდების კუთხის განსაზღვრა ტვირთის განივ-თარაზულ სიბრტყეში გადატანისას; საწყისი მდგრადობის და სიმძიმის ცენტრის განსაზღვრა მყისიერი დაგვერდებების მეშვეობით; სტატიკური მდგრადობის დიაგრამის აგება უნივერსალური დიაგრამის მეშვეობით;

	• გემის მანევრირება ბორტს გარეთ გადავარდნილი ადამიანის გადარჩენის დროს; ქმედებები ავარიული სიტუაციის დროს; გემზე მოქმედი ძალების განსაზღვრა და მათი ზემოქმედების დადგენა გემის მართვაზე და სიჩქარეზე; სამუხრუჭე მანძილის და დამუხრუჭების პერიოდის გამოთვლა; მანევრის შესრულება გემის ღუზიდან ახსნისთვის, გემის ღუზაზე დაყენება; ღუზის გასუფთავება; გემების ურთიერთშეჯახების თავიდან აცილება მათი გზის აქცევით; გემის სამანევრო ცხრილების გამოყენება; ლოცმანის ბარათის შევსება გემის სამანევრო ინფორმაციის შესახებ; გემის დაყენება სარეიდო გემსაბმელ საშუალებაზე; გემების დოკში დაყენება და გემის დოკიდან გაყვანა; გემის მართვა, მანევრირება გემმისაბმელებთან ან მეორე ხომალდის ბორტთან გემის მიბმისას; გემის მართვა საბუქსირე ოპერაციების შესრულების დროს; გემის ბაგირით მიბმის ძირითადი ხერხების გამოყენება და შესაბამისი ქმედება გემის მართვის დროს; • ტვირთების ვენტილაცია და კონტროლი; სატვირთო დოკუმენტაციის წარმოება სატვირთო ოპერაციების წარმართვის დროს; ტვირთის გაზომვა, გათვლა და სატვირთო გეგმის შედგენა; სატვირთო ოპერაციის დაგეგმვა; ტვირთების დამაგრების უზრუნველყოფა; ტრიუმების ლიუკების თავსახურების მომზადება საგემბანო ტვირთის ჩასატვირთად; მარცვლეული ტვირთების ჩატვირთვა; ტვირთის დაუზიანებლობის მთლიანობის უზრუნველყოფა; სატვირთო ტრიუმების შემოწმება და მომზადება; • ელექტრომოწყობილობების და მათი სისტემების ეფექტური ექსპლოატაცია; • პრაქტიკულ საქმიანობაში საერთაშორისო საზღვაო სამართლის ძირითადი წყაროების გამოყენება და სარგებლობა; ნაციონალური კანონმდებლობის ტერიტორიალური ზღვის შესახებ გამოყენება და მოთხოვნების დაკმაყოფილება; საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციების და კომიტეტების ძირითა დი დებულებებით სარგებლობა; • ტვირთის კომერციული მენეჯმენტის ორგანიზაცია; ტვირთების მიღება-ჩაბარების წესის დაცვა; ტვირთის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილება; სტალიის გათვლა; დისპაჩის და დემირიჯის გამოთვლა; ტვირთის რაოდენობის განსაზღვრა; ხელშეკრულების მიხედვით მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციების განსაზღვრა; ტაიმჩარტერული ეკვივალენტის გათვლები; საბაჟო, სანიტარული და ემიგრაციული კონტროლის სამსახურთან მუშაობა; გენერალური დეკლარაციის შევსება; სატვირთო დეკლარაციის გაფორმება; სატვირთო გეგმის შემუშავება; გემისათვის ბუნკერის მოხმარების ნორმების დაცვა; • რადარის პრაქტიკული გამოყენება გემის მიმართულებისა და მანძილის გასაზომად და გემის მდებარეობის დასაფიქსირებლად, სხვა გემების მოძრაობის კურსის დასადგენად შეჯახების თავიდან აცილების მიზნით; ARPA-ს სისტემის ექსპლუატაცია: ARPA-ს მონიტორიდან ინფორმაციის მოპოვება; COLREG-ის გამოყენება; კაპიტნის ხიდურის გუნდური მართვა; შეცდომებისა და ცდომილების განსაზღრა; სიმულატორის აღჭურვილობისა და ინსტრუმენტების გამოყენება; ლოცმანის მიღება–გაცილება; რეისის დაგეგმვა და მისი შესრულება; ძებნისა და გადარჩენის ოპერაციების კოორდინაცია; კაპიტნის ხიდურის ჩეკლისტების შევსება, გამოყენება და წაკითხვა; GMDSS-ის კავშირგაბმულობის სისტემის გამოყენება; უბედური შემთხვევების შეტყობინება–გადაცემა; ავარიული სიხშირეების დაცვა და ცრუ განგაშების გადაცემის თავიდან აცილება; ელექტრონული კარტოგრაფიული სანავიგაციო სისტემების (ECDIS) გამოყენება; • გემის მოწყობილობების ტექნიკური მონაცემებისა და ძირითადი განზომილებების აღწერა; საღუზე-მისასაბელებელი სამუშაოების შესრულებისას ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვა; მისასაბელებელ სამუშაოებში მონაწილეობა; გემის რანგოუტისა და ტაკელაჟის, ტვირთამწე საშუალებების გამოყენება და მოვლა-შენახვის წესების დემონსტრირება; სამუშაოს თანმიმდევრულ ეტაპებად დაყოფა; სამღებრო სამუშაოს შესრულების ტექნოლოგიის აღწერა; მოსამზადებელი სამუშაოების შესრულების გეგმის შედგენა; გემის მოწყობილობების გამოყენება, მათი ტექნიკური ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვის წესების დაცვა; გემის სანავიგაციო ტექნიკური საშუალებების გამოყენება.
დასკვნის უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • სანავიგაციო პრობლემის არსებობის შეფასება, განსაზღვრა, წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირება და სიტუაციის ანალიზი, ინფორმაციის და მონაცემების ინტერპრეტირება, სავარაუდო რისკის და გარემო ზემოქმედების შეფასება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, მათ შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით; • ცურვის რაიონში შეზღუდული ხილვადობის პირობებში ამინდის შესახებ მიღებული ინფორმაციის/მონაცემების ანალიზი, გარემო ზემოქმედებების და რისკების და კონკრეტული სიტუაციის შეფასება, პრობლემის იდენტიფიცირება, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და უსაფრთხო მარშრუტის ამორჩევა; • თანამგზავრული სისტემის INMARSAT,KOSPAS-SARSAT, გემის რადიო სადგური INMARSAT, NAVTECS, ჯგუფური გამოძახების მიმღების KOSPASSARSAT, ავარიული რადიო ტივტივას, მობილური კავშირის მეშვეობით სტანდარტული მეთოდების გამოყენებით მიღებული ინფორმაციის მონაცემების შეგროვება-შეფასება, სიტუაციის და მიღებული შეტყობინების ანალიზი, შესაბამისი არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება და ამის საფუძველზე შეტყობინების სწორი მარშრუტიზაცია; • საზღვაოსნო ალმანახისა და საზღვაოსნო ასტრონომიული ყოველწლიურის შინაარსის და დაწვრილებითი ინფორმაციის გამოყენებით კონკრეტული სიტუაციის შეფასება-ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; • დაზიანებული გემის ცურვადობის შესანარჩუნებლად გემის ჩაჯდომისა და მდგრადობის განსაზღვრა სპეციალური მეთოდების გამოყენებით, გამოთვლების და მონაცემების შესწავლა სტანდარტული მეთოდების გამოყენებით სიტუაციის ანალიზი და ავარიული გემის შეფასება, რისკის შეფასება, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და გადაწყვეტილების მიღება გემის დატოვების და ადამიანების ევაკუაციის შესახებ;

	• სატვირთო გეგმის შედგენის დროს გემის წყალშიგი დიფერენტის და მდგარობის გამოთვლით მიღებული ინფორმაციის და მონაცემების ანალიზი, საგემბანო ტვირთის შესახებ მონაცემების შეგროვება და განმარტება, მონაცემების და სიტუაციის ანალიზი, შედეგების შეფასება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება საგემბანო ტვირთის გავლენის შესახებ გემის მდგარობაზე; • კომერციული მენეჯმენტის ორგანიზების მიზნით მონაცემების, ინფორმაციის და დოკუმენტაციის შეგროვება-ანალიზი, განმარტება; კონტრაქტის/ხელშეკრულების შეფასება და შესაბამისი დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; ტვირთის რაოდენობის განსაზღვრის, სტალიის გათვლასთან, შემოსავალის განსაზღვრასთან, რენტაბელობის გაანგარიშებასთან, ტაიმჩარტერული ეკვივალენტის გათვლებთან დაკავშირებული მონაცემების და ინფორმაციის შეგროვება, სტანდარტული მეთოდების გამოყენებით დამუშავება-ანალიზი, შედეგების შეფასება და რეისის დროის გათვლების გაანგარიშება, სტალიის დროს გათვლა ჩარტერის მიხედვით, გემის მარაგის გამოთვლა, სარეისო რეზერვის გათვლა და დაკვირვებების შედეგად სატვირთო გეგმის შემუშავება, მიღებული მონაცემების ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება ნავსადგურის არჩევისათვის ბუნკირებისთვის ხარჯის შესამცირებლად; • საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმების გათვალისწინებით წარმოქმნილი პრობლემის იდენტიფიცირება, არსებული სიტუაციების და პრობლემების შესაბამისობის დადგენა საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტებთან მიმართებაში, მონაცემების და ინფორმაციის მოძიება, შეგროვება, განმარტება, განზოგადება და დაკონკრეტება და საერთაშორისო მოთხოვნების და წესების შესაბამისად სიტუაციის ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. • წარმოქმნილი კონკრეტული პრაქტიკული პრობლემის სპეციფიკის და თავისებურებების გათვალისწინება, გამომწვევი ფაქტორების დადგენა, დახასიათება და მათი მნიშვნელობის სწორი შეფასება, მიმდინარე პროცესების და სიტუაციების შესწავლა-ანალიზი, ინფორმაციის/მონაცემების შეგროვება დამუშავება, შეფასება და ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთო გამორჩეული მეთოდების გამოყენებით, მიზეზებისა და შედეგების შეფასება, მათი ურთიერთკავშირის გაცნობიერება, მოსალოდნელი შედეგების ფორმულირება, შესაძლო რისკების განსაზღვრა, შეფასება და ახსნა, დასაბუთებული და სკვნის ჩამოყალიბება, პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების შერჩევა, არგუმენტირებული რეკომენდაციების შეთავაზება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილების მიღება პრობლემის გადასაჭრელად; • საგანგებო, ავარიულ სიტუაციებში გარემოს ზემოქმედების ფაქტორების შეფასება, სიტუაციის ანალიზი, მოვლენების შესაძლო განვითარების პროგნო ზირება, არსებული და შესაძლო რისკის განსაზღვრა, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება, დასკვნების ჩამოყალიბება და დასაბუთება; • სამუშაო პროცესში წარმოქმნილი სოციალური, პროფესიული ანდა ეთიკური პრობლემების ამოცნობა, სიტუაციის შეფასება, კრიზისული ან კონფლიქტური სიტუაციის გამომწვევი მიზეზების, მომხდარი ფაქტების და მოვლენების ანალიზი, ფსიქოლოგიური კონფლიქტების გადაჭრის ან კრიზისული სიტუაციების დაძლევის მიზნით ადეკვატური ხერხების გამოყენება, განსხვავებულ სოციალურ, კულტურულ, ეთნიკურ და სხვ. გარემოში ადაპტირების მიზნით სოციალურ ჯგუფებთან თუ პიროვნებებთან ურთიერთობის სწორი ქცევითი სტრატეგიების შერჩევა; • ინდივიდუალური ქცევის, გუნდური მუშაობის, ორგანიზაციული კულტურის ფორმირების, ინტერპერსონალური კომუნიკაციის კომპლექსური საკითხების ცოდნის საფუძველზე სამუშაო გარემოში ჩამოყალიბებული ურთიერთობის, ადამიანთა ქცევაზე ინდივიდუალური მოტივაციის გავლენის, სამუშაოსადმი მათი დამოკიდებულების, პიროვნული თვისებების და ქმედებების გააზრება და ადეკვატური შეფასება, სიტუაციის ანალიზი, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და რაციონალური ქმედების შერჩევა, განსხვავებული მოსაზრებების შედარება-შეპირისპირება, განსხვავებების და მსგავსების დანახვა და სხვისი აზრის გათვალისწინებით საერთო აზრის ფორმირება პრობლემის გადაჭრის და კონფლიქტების მოგვარების მიზნით.
კომუნიკაციის უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • წერითი და ზეპირი კომუნიკაცია: ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირეული დეტალური წერილობითი დოკუმენტაციის/ანგარიშების და სხვ. მომზადება და ზეპირად წარდგენა, ინფორმაციის მიღება და გადაცემა, არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბება და საუბარი დარგის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან; • წერასა და ზეპირმეტყველებაში საზღვაო ინგლისური ენის და საზღვაო ნავიგაცის ტერმინოლოგიის, ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისი გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციების სწორი გამოყენებით: გემთწამყვანის მოვალეობების შესრულება, გემზე შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება, სხვადასხვა ტექნიკური და საქმიანი დოკუმენტების შედგენა და გაგება, თარგმნა ინგლისურიდან ქართულად და ქართულიდან ინგლისურად, საქმიანი კორესპონდენციის წარმოება და საქმიანი კომუნიკაციის დამყარება, პროფესიული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული სპეციალიზირებული ლიტერატურის წაკითხვა, ინსტრუქციების, დოკუმენტების, ბრძანებების, მითითებების, რეკომენდაციების და სხვ. შინაარსის სწორად გაგება-ინტერპრეტაცია, გაანალიზება, განმარტება და გემის ეკიპაჟის წევრებისთვის სწორად გადაცემა. სამაშველო ოპერაციებში მონაწილეობა, საუბრის წარმოება რადიოტელეფონით და გადარჩენის ოპერაციებისას კონტაქტის დამყარება, ფაქტების, მოვლენების და სიტუაციების აღწერა, მონაცემების/ინფორმაციის მიღება-გადაცემა და განმარტება, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ წინადადების, მოსაზრებების ჩამოყალიბება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად, გემის მულტინაციონალურ ეკიპაჟთან შეუფერხებელი კომუნიკაცია, ენის მატარებელთან საუბრის წარმართვა ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე, ინფორმაციის

	გადაცემა როგორც საზღვაო სფეროს სპეციალისტებისთვის, ისე არასპეციალისტებისათვის; • თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება: საზღვაო დარგის სპეციალიზირებული კომპიუტერული პროგრამების და სისტემების გამოყენება: გემის სისტემების მართვისას კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის - РЛС, САРП (სამანევრო პლანშეტის) გამოყენება, VTS/TMS AIS-ის სისტემის გამოყენებით გემის მართვის ორგანიზება, კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით გრაფიკული გამოსახულებების აგება, საინჟინრო ამოცანების გრაფიკული უზრუნველყოფა, მასალების დამუშავება, ანგარიშების მომზადება და სხვ, ელექტრონულ დოკუმენტებთან,ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, ელემენტარულ დონეზე მონაცემთა დაცვა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების, პრობლემის/კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისა და კომუნიკაციის დამყარების მიზნით.
სწავლის უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • ბაკალავრიატში მიღწეული კომპეტენციების ობიექტური თვითშეფასება; • კომპეტენციების სრულყოფის მიზნით სხვადასხვა რესურსების (საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საინფორმაციო წყაროების, დარგობრივი და სპეციალური ლიტერატურის და სხვ.) გამოყენება, უცხო საკითხების მინიმალური დახმარებით დამუშავება; • პროფესიულ საქმიანობაში ინოვაციების გათვალისწინების, უწყვეტი განათლებისა და თვითგანვითარების აუცილებლობის გაცნობიერება, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.
ღირებულებები	კურსდამთავრებულს აქვს: • საზღვაო სფეროში არსებული ეთიკური პრობლემების ამოცნობისა და გაცნობიერების უნარი, პროფესიონალური, ეთიკური, სოციალური ნორმებისცოდნა და მათი დაცვის პასუხისმგებლობა; • პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ასპექტების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების თავისებურებების, საზოგადოების წევრების განსხვავებული ეთნიკური, კულტურული, სოციალური და სხვ. ღირებულებების გააზრებისა და გათვალისწინების უნარი; • საზღვაოსნო ტრადიციების დაცვის, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაცია.

პროგრამის სახელწოდება:	**გემის მექანიკა**
მიმართულება:	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები - 11
სპეციალობა:	საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნავიგაცია/გემის მექანიკა/გემის ელექტრომექანიკა) - 1110
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საზღვაოსნო მეცნიერებების (გემის მექანიკა) ბაკალავრი Bachelor of Marine Science (BSc) (in Ship Power Plants)
უმაღლესი განათლების საფეხური:	I საფეხური, ბაკალავრიატი.
სწავლების ენა:	ქართული.
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	240 ECTS.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად – სრული ზოგადი განათლება, პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე საბაკალავრო პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით ბნსუ-ს და სხვა უსდ-ის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის (სტუდენტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბნსუ-ში არსებული, განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით). საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტების (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010) შესაბამისად საზღვაო ფლოტის გემების მცურავ შემადგენლობაში სამსახურისთვის ვარგისიანობის დასადგენად აუცილებელია ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობა (ფორმა № IV-100/ნ).

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები: მომზადდეს საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი, პრაქტიკულ საზღვაო-საექსპლუატაციო მუშაობაზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის, მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ საქართველოს კანონის), საზღვაოსნო მეცნიერებების (გემის მექანიკა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ტრანსფერული კომპეტენციები; საერთაშორისო კონვენციებით, ნორმატიული დოკუმენტებით და სტანდარტებით (კერძოდ,მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირების და ვახტაზე დგომის საერთაშორისო კონვენციით STCW-78/95, IMO-ს ნორმატიული დოკუმენტებით და სხვ.) განსაზღვრული საერთაშორისო სივრცეში პროფესიონალური საქმიანობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; ცოდნის მუდმივი განახლების და კომპეტენციების სრულყოფის, სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების და პროფესიონალური განვითარების, ეთიკური ნორმების დაცვის, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათი დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაცია; შეძლებენ სფეროს კომპლექსური საკითხების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის შედეგად სამსახურეობრივი (გემის მექანიკოსის) მოვალეობის შესრულებას, დარგისთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების გამოყენებით სიტუაციების და ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზს, პრობლემების მიზეზებისა და შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერებას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე კომუნიკაციას, საზღვაო (გემის მექანიკა) ინგლისური ენის და ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით სამსახურეობრივი ვალდებულებების შესრულებას, გემის მულტინაციონალურ ეკიპაჟთან, დარგის სპეციალისტებთან, არასპეციალისტებთან და სხვ. წერით და ვერბალურ კომუნიკაციას, სპეციალური ინფორმაციის (ინსტრუქციების, წესების და სხვ.) გააზრებას და ინტერპრეტაციას, ქართულ ენაზე თარგმნას და უკუთარგმნას, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საზღვაო სფეროს სპეციალური კომპიუტერული პროგრამების გამოყენებას, საერთაშორისო საზღვაოსნო კონვენციების მოთხოვნების და ზღვაზე უსაფრთხოების წესების შესრულებას და სხვ.; აკადემიური უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელებას, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში კომპეტენციების და შესაძლებლობების სრულ რეალიზაციას, კარიერულ წინსვლას წარმატებული საქმიანობის შედეგად - მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ საერთაშორისო კონვენციის (STCW78/95) და მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟის და სათანადო მომზადების საფუძველზე ეტაპობრივად მოიპოვოს საოკეანო-სავაჭრო გემის სამეთაურო შემადგენლობის გემთმექანიკოსის მორიგი წოდება და დაიკავოს თანამდებობა გემის მორიგე მექანიკოსიდან დაწყებული უფროსი მექანიკოსის ჩათვლით.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულს აქვს საზღვაოსნო მეცნიერებების, კერძოდ გემის მექანიკის, სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს შემდეგი კომპლექსური საკითხების კრიტიკულ გააზრებას და გაცნობიერებას: • გემის მექანიკის სფეროსთვის დამახასიათებელი ასპექტების თეორიული საფუძვლები, თავისებურებები და ურთიერთკავშირები; • გემის აგებულება და მისი თეორია (ცურვადობა, მდგარობა, ჩაუძირვადობა, ბრუნვადობა და სხვ.), გემის საექსპლოატაციო თვისებები და სპეციფიკა; • გემების ტექნიკური გამოყენების, მომსახურებისა და რემონტის შესრულებისადმი საერთო მოთხოვნები, გემის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდები, უსაფრთხოების ტექნიკის და ხანძარსაწინააღო წესები; • გემის ტექნიკური მოწყობილობების მუშაობასთან დაკავშირებული ფიზიკური და ქიმიური პროცესები, მიმდინარე პროცესებზე მოქმედი ფაქტორები და მათი ზეგავლენის სპეციფიკა; • გემის მექანიკური სისტემების სტრუქტურა, კონსტრუქციული კვანძების გაანგარიშების და მექანიზმების დეფექტების გამოვლენის მეთოდები; • გემზე გამოყენებული ლითონების, არალითონური მასალების, პლასტიკური მასების და პოლიმერული მასალების ძირითადი თვისებები; • გემის ძრავების კონსტრუქციები, თეორიული და მუშა ციკლები, მუშა პარამეტრები და მათი კონტროლისა და რეგულირების მეთოდები, ძრავას მუშაობის ეკონომიკური და ენერგეტიკული მახასიათებლები და მათი გაუმჯობესების მეოდები, ძრავების მომზადების, გაშვების, სხვადახვა რეჟიმში მუშაობისას მომსახურების წესები, შესაძლო გაუმართაობები და მათი აღმოფხვრის მეთოდები; • გემის მთავარი ძრავას ტექნიკური საშუალებები და დამხმარე სისტემები, მათი საიმედო გაშვების, სამუშაო რეჟიმისა და საერთო მდგომარეობის კონტროლის მეთოდები, ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის წესები, შესაძლო გაუმართაობები და მათი აღმოფხვრის გზები; • გემის ენერგეტიკული დანადგარების (მათ შორის, შეზეთვის, გაგრილების, გაშვების, რევერსის და სხვა სისტემების) ელექტრომოწყობილობების მართვის სისტემების, აპარატურის, ავტომატური კონტროლის, სიგნალიზაციისა და დაცვის სისტემები, ენერგეტიკული დანადგარების საექსპლუატაციო მაჩვენებლების ნორმები და კონტროლის მეთოდები, ენერგეტიკული დანადგარების და ელექტრომოწყობილობების ექსპლოატაციის,

	ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სპეციფიკა; • გემბანის მოწყობილობებისა და სისტემების კონსტრუქცია, მოქმედების პრინციპები, მუშა პარამეტრები, ექსპლოატაციისა და მომსახურების წესები; • გემის დამხმარე მექანიზმების, ორთქლის და გაზის ტურბინების, ტუმბოების, კომპრესორების, სეპარატორების, წყლის სამტკნარებლების, ლიალების წყლების სეპარატორების, ინსინერატორების, თბოგამცვლელი აპარატების, ვენტილატორებისა და სამანქანო განყოფილების სხვა დანადგარების კონს-ტრუქციები, მუშაობის პრინციპები, ტექნიკური და ეკონომიკური მაჩვენებლები, მუშა პარამეტრების რეგულირების საშუალებები და ხერხები, ექსპ-ლოატაციის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სპეციფიკა, შესაძლო გაუმართაობები და მათი აღმოფხვრის მეთოდები; • გემის სამაცივრო დანადგარებისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების დანიშნულება, მოქმედების პრინციპები, გაშვების, გაჩერების და მომსახუ რეობის წესები; • ენერგიის რეალიზაციის თერმოდინამიკური გზები და თბომიმოცვლის აპარატების თბური გაანგარიშების წესები, თბოენერგეტიკული დანადგარების ეფექტურობის მაჩვენებლები, ენერგეტიკული დანადგარების თერმოდინამიკური ანალიზისა და მათი ეფექტურობის ამაღლების მეთოდები, დამახასიათებელი გაუმართაობები, მათი დიაგნოსტიკისა და აღმოფხვრის მეთოდები; • გემის ძირითადი და ავარიული ელექტროსადგურების ექსპლუატაციის წესები; • გემის კორპუსის, სათავსების, გემბანის მოწყობილობების და სისტემების ტექნიკური ექსპლოატაციის წესები; • ხანძარსაწინაღო და ამომშრობი სისტემის ავტომატიზაციის, მათი მართვის, სიგნალიზაციის, დაცვის და სხვ. სპეციფიკა; • გემის ზედამხედველობის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზების, რემონტის დაგეგმვის, რემონტზე დაკვირვების, რემონტის შემდეგ გემის ენერგეტიკული დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის, გემის მექანიზმების ხარისხის ექსპლუატაციის ნორმების შეფასების მეთოდები და სარემონტო დოკუმენტაციის შედგენის წესები; • სამანქანო განყოფილებაში ვახტის გაწევის წესები; • ავარიულ სიტუაციებში გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის საკითხები, საგანგაშო სიტუაციებში ქცევის წესები, გემის სიცოცხლისუნა-რიანობისათვის ბრძოლის, სამაშველო და ხანძარსაწინაღო საშუალებები, მათი სპეციფიკა და გამოყენების წესები; • საერთაშორისო საზღვაო კონვენციების საკანონმდებლო აქტების მოთხოვნები ნაოსნობის უსაფრთხოების და გარემოს დაბინძურებისაგან დაცვის წესები და თავისებურებები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • მიღებული ცოდნის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის შედეგად სხვადასხვა პრაქტიკული და თეორიული საინჟინრო ტექნიკური ამო ცანების (მათ შორის, მექანიზმების და მანქანების შეფასება, მარტივი მექანიზმების სტრუქტურული და კინემატიკური გაანალიზება, მათი დეტალების სიმტკიცეზე გაანგარიშება და სხვ.) ლოგიკური შეფასება, ამოცანის შესაბამისი მათემატიკური აპარატის შერჩევა, გამოყენება და ამოცაის ამოხსნა; • სხვადასხვა სირთულის ნახაზების, სქემების, გრაფიკების და სხვ. აგება, წაკითხვა, განხილვა, ახსნა და გამოყენება; • გემის ტექნიკური მოწყობილობების ექსპლუატაციისას ფიზიკური და ქიმიური პროცესებისა და მექანიკურ და სითბურ პროცესებზე მოქმედი ფაქტო-რების გათვალისწინება; • გემის ტექნიკური მოწყობილობების მომსახურების და რემონტის დროს საჭირო თვისებების მქონე ლითონების, არალითონური მასალების, პლასტი-კური მასების, პოლიმერული და სხვ. მასალების შერჩევა, დამუშავება და გამოყენება შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით; • გემების მთავარი ძრავას და მისი სისტემების, დიზელის ძრავების, ენერგეტიკული დანადგარების (ორთქლის ქვაბების, ორთქლის ტურბინების, დამხ მარე მექანიზმების, სამაცივრო დანადგარების და ჰაერის კონდიციონირების სისტემების, ელექტრომოწყობილობების და მათი სისტემების, გემის გემ-ბანზე განლაგებული მექანიზმების, მოწყობილობების და სისტემების) ექსპლოატაციისათვის მომზადება, მოქმედებაში შეყვანა და მოქმედებიდან გამო ყვანა, რეჟიმების რეგულირება, ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება (მათ შორის, ნორმალურიდან განსხვავებულ პირობებში და რეჟიმში), გაუმა რთაობების გამოვლენა და აღმოფხვრა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ექსპლუატაციასთან და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული სამუ-შაოების შესრულება მითითებებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით; • გემის თბურ მანქანებში მიმდინარე თერმოდინამიკური პროცესების ოპტიმალური მართვა და სათბობენერგეტიკული რესურსების გამოყენება; • გემის ელექტრომოწყობილობების ექსპლუატაცია, ტექნიკური მომსახურება, გენერატორების პარალელურ მუშაობის რეჟიმში შეყვანა, დატვირთვების განაწილება და პარალელურ მუშაობიდან გამოყვანა, გაუმართაობების აღმოჩენა და აღმოფხვრა; • გემის სამანქანო განყოფილების ლიალიების დაშრობა “MARPOL”-ის მოთხოვნების გათვალისწინებით; • გემის ტექნიკური მოწყობილობების საერთო მდგომარეობის ზედამხედველობის ორგანიზება და კონტროლი, მათი ტექნიკური ექსპლუატაცია და მომსახურება, მუშა მექანიზმების პარამეტრების კონტროლი და რეგულირება, გაუმართაობების აღმოჩენა და აღმოფხვრა, გემის ექსპლოატაციის და ექსტრემალურ პირობებში რემონტის ჩატარება მიღებული მითითებებისა და უსაფრთხოების ტექნიკისა და ხანძარსაწინაღო წესების დაცვით; • გემის და ტექნიკური საშუალებების ქმედითუნარიანობის უზრუნველყოფის პირველადი ღონისძიებების შერჩევა-შესრულება, წარმოქმნილი პრობლე მის იდენტიფიცირება და შეფასება, სპეციალური მეთოდების გამოყენებით და მექანიზმების მუშა პარამეტრების ანალიზით წარმოქმნილი გაუმარ-თაობების აღმოჩენა, პრობლემის გადაჭრის ადეკვატური გზების დასახვა, სტანდარტული და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება წარ-მოქმნილი პრობლემების გადაჭრის და გაუმართაობების აღმოფხვრის მიზნით, მიღებული მითეთებების შესაბამისად დაგეგმილი სამუშაოს შესრულე-

	ბა უსაფრთხოების წესების დაცვით, ექსტრემალურ პირობებში სათანადო მოქმედებების განსაზღვრა-შესრულება როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდში მუშაობისას; • გემების ტექნიკური მომსახურების და რემონტის დაგეგმარება, რემონტის შემდეგ მექანიზმების და სისემების გამოცდების ჩატარება შესაბამისი წესების დაცვით; • გემის სარემონტო დოკუმენტაციის შედგენა, რემონტზე დაკვირვება, სამუშაოს თანმიმდევრულ ეტაპებად დაყოფა, დროის დაგეგმვა; • სამანქანო განყოფილებაში ვახტის გაწევა, ბრძანებებისა და მითითებების შესრულება ვახტზე დგომისას; • ავარიულ სიტუაციებში სამანქანო განყოფილებაში ვახტის გაწევის დამოუკიდებლად უზრუნველყოფა; • ბორტს გარეთ აღმოჩენილი ადამიანის შველა; • პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; • ზღვაზე დახმარების გაწევის და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესების დაცვა; • გემის ხანძარსაწინაღო საშუალებების, სისტემების და აღჭურვილობის გამოყენება და ხანძარსაწინაღო წესების დაცვა; • საგანგაშო სიტუაციებში სათანადო ინვენტარის, მოწყობილობების და მასალების გამოყენება; • ავარიულ სიტუაციებში გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა, გემის სიცოცხლისუნარიანობისათვის ბრძოლის, სამაშველო და ხანძარსაწინაღო საშუალებების გამოყენება; • საგანგაშო სიტუაციებში ინფორმაციის ოპერატიულად შეგროვება, პრობლემის ადეკვატური რესურსების შერჩევა, სათანადო ინვენტარის, მოწყობილობების და მასალების გამოყენება, პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალური გზების დასახვა და დროის რაციონალურად დაგეგმვა.__
დასკვნის უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • გემის ტექნიკური მოწყობილობების საერთო მდგომარეობის შესწავლის და მუშა პარამეტრების კონტროლის მიზნით სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით მონაცემების და ინფორმაციის შეგროვება, დაჯგუფება, შესწავლა და ანალიზი, ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი გაუმართაობების და დეფექტების გამოვლენა და იდენტიფიცირება, მათი წარმოქმნის მიზეზების დადგენა, წარმოქმნილი გაუმართაობების შესწავლის მეთოდების შერჩევა და გამოყენება, გაზომვების და დიაგნოსტიკის ხელსაწყოების მეშვეობით ინფორმაციის/მონაცემების შეგროვება და ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, სხვადასხვა ფაქტორების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გაცნობიერება, შედეგების და შესაძლო რისკების შეფასება, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, გაუმართაობების აღმოფხვრის გზების დასახვა, საქმიანობის და- • გეგმვა გაუმართაობის აღმოსაფხვრისა და რემონტის ტექნოლოგიის განსაზღვრის მიზნით; • გემის ტექნიკურ მდგომარეობაზე და სვლაზე ფიზიკური და ქიმიური პროცესების, მექანიკურ და სითბურ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების გავლენის სწორი შეფასება, სიტუაციის ანალიზი, შედეგების ჩამოყალიბება და გათვალისწინება დასკვნის დასაბუთებისას; • წარმოქმნილი კონკრეტული პრაქტიკული პრობლემის სპეციფიკის და თავისებურებების გათვალისწინება, მისი გამომწვევი ფაქტორების დადგენა, დახასიათება და მათი მნიშვნელობის სწორი შეფასება, მიმდინარე პროცესების და სიტუაციების შესწავლა-ანალიზი, ინფორმაციის/მონაცემების შეგროვება-დამუშავება, შეფასება და ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების გამოყენებით, მიზეზებისა და შედეგების შეფასება, მა- თი ურთიერთკავშირის გაცნობიერება, მოსალოდნელი შედეგების ფორმულირება, შესაძლო რისკების განსაზღვრა, შეფასება და ახსნა, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების შერჩევა, არგუმენტირებული რეკომენდაციების შეთავაზება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება პრობლემის გადაჭრის მიზნით; • საგანგებო, ავარიულ სიტუაციებში გარემოს ზემოქმედების ფაქტორების შეფასება, სიტუაციის ანალიზი, მოვლენების შესაძლო განვითარების პროგნოზირება, არსებული და შესაძლო რისკის განსაზღვრა, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება და დასკვნის დასაბუთება; • სამუშაო პროცესში წარმოქმნილი სოციალური, პროფესიული ანდა ეთიკური პრობლემების ამოცნობა, სიტუაციის შეფასება, კრიზისული ან კონფლიქტური სიტუაციის გამომწვევი მიზეზების, მომხდარი ფაქტების და მოვლენების ანალიზი, ფსიქოლოგიური კონფლიქტების გადაჭრის ან კრიზისული სიტუაციების დაძლევის მიზნით ადეკვატური ხერხების გამოყენება, განსხვავებულ სოციალურ, კულტურულ, ეთნიკურ და სხვ. გარემოში ადაპტირების მიზნით სოციალურ ჯგუფებთან თუ პიროვნებებთან ურთიერთობის სწორი ქცევითი სტრატეგიების შერჩევა; • ინდივიდუალური ქცევის, გუნდური მუშაობის, ორგანიზაციული კულტურის ფორმირების, ინტერპერსონალური კომუნიკაციის კომპლექსური საკითხების ცოდნის საფუძველზე სამუშაო გარემოში ჩამოყალიბებული ურთიერთობის, ადამიანთა ქცევაზე ინდივიდუალური მოტივაციის გავლენის, სამუშაოსადმი მათი დამოკიდებულების, პიროვნული თვისებებისა და ქმედებების გააზრება და ადეკვატური შეფასება, სიტუაციის ანალიზი, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და რაციონალური ქმედების შერჩევა, განსხვავებული მოსაზრებების შედარება-შეპირისპირება, განსხვავებების და • მსგავსების დანახვა და სხვისი აზრის გათვალისწინებით საერთო აზრის ფორმირება პრობლემის გადაჭრის და კონფლიქტების მოგვარების მიზნით.
კომუნიკაციის უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • წერითი და ზეპირი კომუნიკაცია: ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული დეტალური წერილობითი დოკუმენტაციის/ანგარიშების და სხვ. მომზადება და ზეპირად წარდგენა, ინფორმაციის მიღება და გადაცემა, არსებული პრობლემების და მათი გადაჭ-

	რის გზების შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბება და დისკუსია დარგის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან; წერასა და ზეპირმეტყველებაში საზღვაო ინგლისური ენის და გემის მექანიკის ტერმინოლოგიის, ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისი გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციების სწორი გამოყენებით: გემის მექანიკოსის მოვალეობების შესრულება, სხვადასხვა ტექნიკური და საქმიანი დოკუმენტების შედგენა და გაგება, თარგმნა ინგლისურიდან ქართულად და ქართულიდან ინგლისურად, საქმიანი კორესპონდენციის წარმოება და საქმიანი კომუნიკაციის დამყარება, გემის მექანიკოსის მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული სპეციალიზირებული ლიტერატურის წაკითხვა, ინსტრუქციების, დოკუმენტების, ბრძანებების, მითითებების, რეკომენდაციების და სხვ. შინაარსის სწორად გაგება, ინტერპრეტაცია, გაანალიზება, განმარტება და გემის ეკიპაჟის წევრებისთვის სწორად გადაცემა. სამაშველო ოპერაციებში მონაწილეობა, საუბრის წარმოება რადიოტელეფონით და გადარჩენის ოპერაციებისას კონტაქტის დამყარება, ფაქტების, მოვლენების და სიტუაციების აღწერა, მონაცემების/ინფორმაციის მიღება-გადაცემა და განმარტება, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ წინადადების, მოსაზრებების ჩამოყალიბება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად, გემის მულტინაციონალურ ეკიპაჟთან კომუნიკაცია, ენის მატარებელთან საუბრის წარმართვა ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე, ინფორმაციის გადაცემა როგორც საზღვაო სფეროს სპეციალისტებისთვის, ისე არასპეციალისტებისათვის; • თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება: საზღვაო დარგის სპეციალიზირებული კომპიუტერული პროგრამების და სისტემების გამოყენება, კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით გრაფიკული გამოსახულებების აგება და საინჟინრო პროექტების გრაფიკული უზრუნველყოფა, მასალების დამუშავება, ანგარიშების და პრეზენტაციების მომზადება და სხვ. ელექტრონულ დოკუმენტებთან, ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, ელემენტარულ დონეზე მონაცემთა დაცვა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების, პრობლემის გადაწყვეტის, კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისა და კომუნიკაციის დამყარების მიზნით.
სწავლის უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • ბაკალავრიატში მიღწეული კომპეტენციების ობიექტური თვითშეფასება, კომპეტენციების სრულყოფის მიზნით სხვადასხვა რესურსების (საინფორმაციო წყაროების, დარგობრივი და სპეციალური ლიტერატურის და სხვ.) გამოყენება, უცხო საკითხების მინიმალური დახმარებით დამუშავება; • პროფესიულ საქმინობაში ინოვაციების გათვალისწინების, უწყვეტი განათლებისა და თვითგანვითარების აუცილებლობის გაცნობიერება, საკუთარი • სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.
ღირებულებები *ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.*	კურსდამთავრებულს აქვს: • საზღვაო სფეროში არსებული ეთიკური პრობლემების ამოცნობისა და გაცნობიერების უნარი, პროფესიონალური, ეთიკური, სოციალური ნორმების ცოდნა და მათი დაცვის პასუხისმგებლობა; • პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ასპექტების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების თავისებურებების, საზოგადოების წევრების განსხვავებული ეთნიკური, კულტურული, სოციალური და სხვ. ღირებულებების გააზრებისა და გათვალისწინების უნარი; • საზღვაოსნო ტრადიციების დაცვის, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაცია.

პროგრამის სახელწოდება:	**გემის ენერგეტიკული დანადგარები** (ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)
მიმართულება:	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები - 11
სპეციალობა:	საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნავიგაცია/გემის მექანიკა/გემის ელექტრომექანიკა) - 1110
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საზღვაოსნო მეცნიერებების (გემის მექანიკა) ბაკალავრი Bachelor of Marine Science (BSc) (in Ship Power Plants)
უმაღლესი განათლების საფეხური:	I საფეხური, ბაკალავრიატი.
სწავლების ენა:	ქართული (რუსულ ენაზე პროგრამის ცალკეული კომპონენტები)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	250 ECTS.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში" (შემდგომში - ბნსუ) ჩარიცხვა: სრული ზოგადი განათლება, პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების

დოკუმენტის) საფუძველზე გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად). „ნიკოლაევის ადმირალ მაკაროვის სახელობის გემთსაშენი ეროვნული უნივერსიტეტში“ (შემდგომში - გეუ) ჩარიცხვა: სრული ზოგადი განათლება, პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება უკრაინის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს და უკრაინის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე საბაკალავრო პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის (სტუდენტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს/უკრაინის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბნსუ-ში/გეუ-ში არსებული, განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით). წინამდებარე პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელია რუსული ენის ფლობა არანაკლებ B1 დონეზე და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის შემთხვევაში აუცილებელია ქართული ენის ფლობა არანაკლებ B1 დონეზე (რუსული და ქართული ენების ფლობის დონე შეიძლება დადგინდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით/დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. შესაბამის დონეზე ენის ფლობის დადასტურებაში მოიაზრება: რუსული ენის შემთხვევაში - ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულო საგნად რუსული ენის ჩაბარება (უდასტურდებათ B1 დონე), უცხოეთში/საქართველოში რუსულ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი/დიპლომი), უცხოეთის/საქართველოს უსდ-ს მიერ გაცემული შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დიპლომის დანართი/ცნობა/სხვ., შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის/წარმომადგენლობის/სხვ. მიერ გაცემული სერტიფიკატები/მოწმობები/სხვ., საერთაშორისო სერთიფიკატები და/ან სხვ.; ქართული ენის შემთხვევაში - ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შესწავლის დამადას ტურებელი სერტიფიკატი, ქართულ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი/დიპლომი), ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დამადასტურებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი (დიპლომის დანართი/ცნობა/სხვ.) და/ან სხვ.). საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტების (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010) შესაბამისად აუცილებელია ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობა (ფორმა № IV-100/ნ).

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები: მომზადდეს საქართველოს, უკრაინის და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი, პრაქტიკულ საზღვაო-საექსპლუატაციო მუშაობაზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ საქართველოს (მათ შორის, მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ საქართველოს კანონის) და უკრაინის მოქმედი კანონმდე-ბლობის, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ტრანსფერული კომპეტენციები; საერთაშორისო კონვენციებით, ნორმატიული დოკუმენტებით და სტანდარტებით (კერძოდ, მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირების და ვახტაზე დგომის საერთაშორისო კონვენციით STCW-78/95, IMO-ს ნორმატიული დოკუმენტებით და სხვ.) განსაზღვრული საერთაშორისო სივრცეში პროფესიონალური საქმიანობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; ცოდნის მუდმივი განახლების და კომპეტენციების სრულყოფის, სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების და პროფესიონალური განვითარების, ეთიკური ნორმების დაცვის, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათი დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაცია; შეძლებენ სფეროს კომპლექსური საკითხების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის შედეგად სამსახურეობრივი (გემთმექანიკოსის) მოვალეობის შესრულებას, დარგისთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების გამოყენებით სიტუაციების და ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზს, პრობლემების მიზეზებისა და შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერებას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, საზღვაო ინგლისური და რუსული ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით სამსახურეობრივი ვალდებულებების შესრულებას, გემის მულტინაციონალურ ეკიპაჟთან, დარგის სპეციალისტებთან, არასპეციალისტებთან და სხვ. წერით და ვერბალურ კომუნიკაციას, სპეციალური ინფორმაციის (ინსტრუქციების, წესების და სხვ.) გაგებას და ინტერპრეტაციას, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საზღვაო სფეროს სპეციალური კომპიუტერული პროგრამების გამოყენებას, საერთაშორისო საზღვაოსნო კონვენციების მოთხოვნების და ზღვაზე უსაფრთხოების წესების შესრულებას და სხვ.; უმაღლესი აკადემიური განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელებას, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში კომპეტენციების და შესაძლებლობების რეალიზაციას, კარიერულ წინსვლას წარმატებული საქმიანობის შედეგად - მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის

გაწევის სტანდარტების შესახებ საერთაშორისო კონვენციის (STCW78/95) და მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟის და სათანადო მომზადების საფუძველზე ეტაპობრივად მოიპოვოს საოკეანო-სავაჭრო გემის სამეთაურო შემადგენლობის გემთმექანიკოსის მორიგი წოდება და დაიკავოს თანამდებობა გემის მორიგე მექანიკოსიდან დაწყებული უფროსი მექანიკოსის ჩათვლით.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულს აქვს საზღვაოსნო მეცნიერებების, კერძოდ გემის მექანიკის, სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს შემდეგი კომპლექსური საკითხების კრიტიკულ გააზრებას და გაცნობიერებას: • გემის მექანიკის სფეროსთვის დამახასიათებელი ასპექტების თეორიული საფუძვლები, თავისებურებები და ურთიერთკავშირები; • გემის აგებულება და მისი თეორია (ცურვადობა, მდგარობა, ჩაუძირვადობა, ბრუნვადობა და სხვ.), გემის საექსპლოატაციო თვისებები და სპეციფიკა; გემების ტექნიკური გამოყენების, მომსახურებისა და რემონტის შესრულებისადმი საერთო მოთხოვნები, გემის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდები, უსაფრთხოების ტექნიკისა და ხანძარსაწინაღო წესები; • გემის მექანიკური სისტემების სტრუქტურა, კონსტრუქციული კვანძების გაანგარიშების და მექანიზმების დეფექტების გამოვლენის მეთოდები; გემის ტექნიკური მოწყობილობების მუშაობასთან დაკავშირებული ფიზიკური და ქიმიური პროცესები, მიმდინარე პროცესებზე მოქმედი ფაქტორები და მათი ზეგავლენის სპეციფიკა; გემზე გამოყენებული ლითონების, არალითონური მასალების, პლასტიკური და პოლიმერული მასალების ძირითადი თვისებები; ენერგიის რეალიზაციის თერმოდინამიკური გზები და თბომიმოცვლის აპარატების თბური გაანგარიშების წესები, თბოენერგეტიკული დანადგარების ეფექტურობის მაჩვენებლები, ენერგეტიკული დანადგარების თერმოდინამიკური ანალიზისა და მათი ეფექტურობის ამაღლების მეთოდები, დამახასიათებელი გაუმართაობები, მათი დიაგნოსტიკისა და აღმოფხვრის მეთოდები; • გემის ძრავების კონსტრუქციები, თეორიული და მუშა ციკლები, მუშა პარამეტრები და მათი კონტროლისა და რგეულირების მეთოდები, ძრავას მუშა- ობის ეკონომიკური და ენერგეტიკული მახასიათებლები და მათი გაუმჯობესების მეოდები, ძრავების მომზადების, გაშვების, სხვადახვა რეჟიმში მუშაობისას მომსახურების წესები, შესაძლო გაუმართაობები და მათი აღმოფხვრის მეთოდები; გემის მთავარი ძრავას ტექნიკური საშუალებები და დამხმარე სისტემები, მათი საიმედო გაშვების, სამუშაო რეჟიმისა და საერთო მდგომარეობის კონტროლის მეთოდები, ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის წესები, შესაძლო გაუმართაობები და მათი აღმოფხვრის გზები; • გემის ენერგეტიკული დანადგარების (მათ შორის, შეზეთვის, გაგრილების, გაშვების, რევერსის და სხვა სისტემების) და ელექტრომოწყობილობების მართვის სისტემები და აპარატურა, ავტომატური კონტროლის, სიგნალიზაციისა და დაცვის სისტემების, საექსპლუატაციო მაჩვენებლების ნორმების, კონტროლის მეთოდების, ექსპლოატაციის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სპეციფიკა; • გემის სამაცივრო დანადგარებისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების დანიშნულება და მოქმედების პრინციპები, გაშვების, გაჩერების და მომსა- ხურეობის წესები; • გემის დამხმარე მექანიზმების, ორთქლის და გაზის ტურბინების, ტუმბოების, კომპრესორების, სეპარატორების, წყლის სამტკნარებლების, ლიალების წყლების სეპარატორების, ინსინერატორების, თბოგამცვლელი აპარატების, ვენტილატორებისა და სამანქანო განყოფილების სხვა დანადგარების კონსტრუქციები, მუშაობის პრინციპები, ტექნიკური და ეკონომიკური მაჩვენებლები, მუშა პარამეტრების რგეულირების საშუალებები და ხერხები, ექსპლოატაციის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სპეციფიკა, შესაძლო გაუმართაობები და მათი აღმოფხვრის მეთოდები; • გემბანის მოწყობილობებისა და სისტემების კონსტრუქცია, მოქმედების პრინციპები, მუშა პარამეტრები, ექსპლოატაციისა და მომსახურების წესები; • გემის ძირითადი და ავარიული ელექტროსადგურების, გემის კორპუსის, სათავსების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები; • ხანძარსაწინაღო და ამომშრობი სისტემის ავტომატიზაციის, მათი მართვის, სიგნალიზაციის, დაცვის და სხვ. სპეციფიკა; • ავარიულ სიტუაციებში გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის საკითხები, საგანგაშო სიტუაციებში ქცევის წესები, გემის სიცოცხლისუნარიანობისათვის ბრძოლის, სამაშველო და ხანძარსაწინაღო საშუალებები, მათი სპეციფიკა და გამოყენების წესები; • გემის ზედამხედველობის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზების, რემონტის დაგეგმვის, რემონტზე დაკვირვების, რემონტის შემდეგ გემის ენერგეტიკული დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის, გემის მექანიზმების ხარისხის ექსპლუატაციის ნორმების შეფასების მეთოდები და სარემონტო დოკუმენტაციის შედგენის წესები; • სამანქანო განყოფილებაში ვახტის გაწევის წესები; • საზღვაო ტრანსპორტის მართვის საფუძვლები; გემების ტიპები სპეციალიზაციის, დიზაინისა და სატვირთო ოპერაციების წარმოების მიხედვით; ტრანსპორტის პროდუქციის თავისებურებანი; საზღვაო ტრანსპორტის მართვის სტრუქტურა; გენერალური ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციის თავისებურებანი; სარეისო ჩარტერის კომერციული პირობები; გემების არენდა; გემის მენეჯმენტის ორგანიზაციის პრინციპები; ბუნკირების ორგანიზაციის პროცედურები. • საერთაშორისო საზღვაო კონვენციების საკანონმდებლო აქტების მოთხოვნები ნაოსნობის უსაფრთხოების და გარემოს დაბინძურებისაგან დაცვის

	სპე- ციფიკა; • საერთაშორისო საზღვაო სამართლის საფუძვლები და მისი პრინციპები; გემის დროშის სახელმწიფოს იურისდიქციის სამართლებრივი ბუნება; საზღ-ვაო გემის სამართლებრივი სტატუსი; გემის ცნება და მისი ძირითადი ნიშნები; მოსახერხებელი დროშის ცნება და სამართლებრივი რეჟიმი; საზღვაო სივრცეების სამართლებრივი რეჟიმი; სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქცია ტერიტორიალურ ზღვაში; ნაციონალური კანონმდებლობა ტერიტორია-ლური ზღვის შესახებ; საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO), ზღვაოსნობის კომიტეტი (IONKTAD), საერთაშორისო ოკეანოგრაფიული კომისია (MOK) – მიზნები, სტრუქტურა, საქმიანობის ფორმები და ძირითადი მიმართულებები; ზღვის გარემოს საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის მოთ-ხოვნები; ზღვაოსნობის უსაფრთხოების სამართლებრივი უზრუნველყოფა; მეზღვაურთა საერთაშორისო შრომის კოდექსი.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • მიღებული ცოდნის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის შედეგად სხვადასხვა პრაქტიკული და თეორიული საინჟინრო ტექნიკური ამ-ოცანების (მათ შორის, მექანიზმებისა და მანქანების შეფასება, მარტივი მექანიზმების სტრუქტურული და კინემატიკური გაანალიზება, მათი დეტალე-ბის სიმტკიცეზე გაანგარიშება და სხვ.) ლოგიკური შეფასება, ამოცანის შესაბამისი მათემატიკური აპარატის შერჩევა, გამოყენება და ამოცაის ამოხსნა; სხვადასხვა სირთულის ნახაზების, სქემების, გრაფიკების და სხვ. აგება, წაკითხვა, ახსნა და გამოყენება; გემის ტექნიკური მოწყობილობების ექსპლუა-ტაციისას ფიზიკური და ქიმიური პროცესებისა და მექანიკურ და სითბურ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინება; გემის თბურ მანქანებში მიმდინარე თერმოდინამიკური პროცესების ოპტიმალური მართვა, სათბობენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენება; • გემის ტექნიკური მოწყობილობების საერთო მდგომარეობის ზედამხედველობის ორგანიზება და კონტროლი, მათი ტექნიკური ექსპლუატაცია და მომ- სახურება, მუშა მექანიზმების პარამეტრების კონტროლი და რგეულირება, გაუმართაობების აღმოჩენა და აღმოფხვრა, გემის ექსპლოატაციის და ექსტ-რემალურ პირობებში რემონტის ჩატარება მიღებული მითითებებისა და უსაფრთხოების ტექნიკისა და ხანძარსაწინაღო წესების დაცვით; გემის ტექნი-კური მოწყობილობების მომსახურების და რემონტის დროს საჭირო თვისებების მქონე ლითონების, არალითონური მასალების, პლასტიკური მასების, პოლიმერული და სხვ. მასალების შერჩევა, დამუშავება და გამოყენება შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით; • გემების მთავარი ძრავას და მისი სისტემების, დიზელის ძრავების, ენერგეტიკული დანადგარების (ორთქლის ქვაბების, ორთქლის ტურბინების, დამხ- მარე მექანიზმების, სამაცივრო დანადგარების და ჰაერის კონდიციონირების სისტემების, ელექტრომოწყობილობების და მათი სისტემების, გემის გემ-ბანზე განლაგებული მექანიზმების, მოწყობილობების და სისტემების) ექსპლოატაციისათვის მომზადება, მოქმედებაში შეყვანა და მოქმედებიდან გამო- ყვანა, რეჟიმების რეგეულირება, ექსპლუატაცია, ტექნიკური მომსახურება (მათ შორის, ნორმალურისგდან განსხვავებულ პირობებში და რეჟიმში), გაუ-მართაობების გამოვლენა და აღმოფხვრა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ექსპლუატაციასთან და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება მითითებებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით; • გემის ელექტრომოწყობილობების ექსპლუატაცია, ტექნიკური მომსახურება, გენერატორების პარალელურ მუშაობის რეჟიმში შეყვანა, დატვირთვების განაწილება და პარალელურ მუშაობიდან გამოყვანა, გაუმართაობების აღმოჩენა და აღმოფხვრა; • გემის სამანქანო განყოფილების ლიალიების დაშრობა “MARPOL”-ის მოთხოვნების გათვალისწინებით; • გემის და მისი ტექნიკური საშუალებების ქმედითუნარიანობის უზრუნველყოფის პირველადი ღონისძიებების შერჩევა-შესრულება, წარმოქმნილი პრობლემის იდენტიფიცირება და შეფასება, სპეციალური მეთოდების გამოყენებით და მექანიზმების მუშა პარამეტრების ანალიზით წარმოქმნილი გაუმართაობების აღმოჩენა, პრობლემის გადაჭრის ადეკვატური გზების დასახვა, სტანდარტული და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყე-ნება წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის და გაუმართაობების აღმოფხვრის მიზნით, წინასწარ მიღებული მითეთებების შესაბამისად დაგეგმილი სამუშაოს შესრულება უსაფრთხოების წესების დაცვით, ექსტრემალურ პირობებში სათანადო მოქმედებების განსაზღვრა-შესრულება როგორც ინდივი-დუალურად, ისე გუნდში მუშაობისას; • გემების ტექნიკური მომსახურების და რემონტის დაგეგმარება, რემონტის შემდეგ მექანიზმების და სისემების გამოცდების ჩატარება შესაბამისი წესე-ბის დაცვით, გემის სარემონტო დოკუმენტაციის შედგენა, რემონტზე დაკვირვება, სამუშაოს თანმიმდევრულ ეტაპებად დაყოფა და დროის დაგეგმვა; • კომერციული მენეჯმენტის ორგანიზაცია; რენტაბელობის გაანგარიშება; გემის რეისის ხარჯების გათვლები; ნავსადგურის არჩევა ბუნკირებისთვის ხარჯის შემცირების გათვალისწინებით.გემისათვის ბუნკერის მოხმარების ნორმების დადგენა; • სამანქანო განყოფილებაში ვახტის გაწევა, ბრძანებებისა და მითითებების შესრულება ვახტზე დგომისას; • ბორტს გარეთ აღმოჩენილი ადამიანის შველა, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, ზღვაზე დახმარების გაწევის და ნაოსნობის უსაფრთხოე- ბის უზრუნველყოფის წესების დაცვა; • ავარიულ სიტუაციებში სამანქანო განყოფილებაში ვახტის გაწევის დამოუკიდებლად უზრუნველყოფა; გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყო-

	ფა, გემის სიცოცხლისუნარიანობისათვის ბრძოლის, სამაშველო და ხანძარსაწინააღო საშუალებების გამოყენება; • საგანგაშო სიტუაციებში სათანადო ინვენტარის, მოწყობილობების და მასალების გამოყენება; ინფორმაციის ოპერატიულად შეგროვება, ადეკვატური რესურსების შერჩევა, სათანადო ინვენტარის, მოწყობილობების და მასალების გამოყენება, პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალური გზების დასახვა, დროის რაციონალურად დაგეგმვა; გემის ხანძარსაწინააღო საშუალებების, სისტემების და აღჭურვილობის გამოყენება, ხანძარსაწინააღო წესების დაცვა; • პროფესიული საქმიანობისას სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან თუ პიროვნებებთან ურთიერთობის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავება, კრიზისუ- ლი სიტუაციების დაძლევის და მართვის პრაქტიკული მეთოდების გამოყენება, პიროვნებათაშორის და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან ფსიქოლო- გიური კონფლიქტების მოგვარება, პიროვნებათაშორის ურთიერთობების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების თავისებურებების გათვალისწინება, მმართველობითი პრობლემების და ორგანიზაციული ცვლილებების იდენტიფიცირება და წინააღმდეგობების დაძლევა, დამოუკიდებელი და გუნდუ- რი მუშაობა; • გარემოს დაბინძურების სახეების გამოყოფა; მავნე ნივთიერებების ცხრილებით სარგებლობა; პრაქტიკულ მუშაობაში MARPOL73/78 კონვენციით ხელმ- ძღვანელობა; გარემოს მდგომარეობის პარამეტრების, სატრანსპორტო ობიექტების ეკოლოგიური მაჩვენებლების გაზომვის მეთოდებით სარგებლობა, პრაქტიკულ საქმიანობაში საერთაშორისო საზღვაო სამართლის ძირითადი წყაროების გამოყენება.
დასკვნის უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • გემის ტექნიკურ მდგომარეობაზე და სვლაზე ფიზიკური და ქიმიური პროცესების, მექანიკურ და სითბურ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების გავლე- ნის სწორი შეფასება, სიტუაციის ანალიზი, შედეგების ჩამოყალიბება და გათვალისწინება დასკვნის დასაბუთებისას; • გემის ტექნიკური მოწყობილობების საერთო მდგომარეობის შესწავლის და მუშა პარამეტრების კონტროლის მიზნით სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით მონაცემების და ინფორმაციის შეგროვება, დაჯგუფება, შესწავლა და ანალიზი, ექსპლუატაციის პროცესში წარმო- ქმნილი გაუმართაობების და დეფექტების გამოვლენა და იდენტიფიცირება, მათი წარმოქმნის მიზეზების დადგენა, წარმოქმნილი გაუმართაობების შესწავლის მეთოდების შერჩევა და გამოყენება, გაზომვების და დიაგნოსტიკის ხელსაწყოების მეშვეობით ინფორმაციის/მონაცემების შეგროვება და ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, სხვადასხვა ფაქტორების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გაცნობიერება, შედეგების და შესაძლო რისკების შეფასება, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, გაუმართაობების აღმოფხვრის გზების დასახვა, საქმიანობის და- გეგმვა გაუმართაობის აღმოსაფხვრისა და რემონტის ტექნოლოგიის განსაზღვრის მიზნით; • წარმოქმნილი კონკრეტული პრაქტიკული პრობლემის სპეციფიკის და თავისებურებების გათვალისწინება, მისი გამომწვევი ფაქტორების დადგენა, და- ხასიათება და მათი მნიშვნელობის სწორი შეფასება, მიმდინარე პროცესების და სიტუაციების შესწავლა-ანალიზი, ინფორმაციის/მონაცემების შეგროვე- ბა-დამუშავება, შეფასება და ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების გამოყენებით, მიზეზების და შედეგების შეფასება, მათი ურთიერთკავშირის გაცნობიერება, მოსალოდნელი შედეგების ფორმულირება, შესაძლო რისკების განსაზღვრა, შეფასება და ახსნა, დასაბუთებული და- სკვნის ჩამოყალიბება, პრობლემის გადაჭრის რეკომენდაციების შეთავაზება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება; • საგანგებო, ავარიულ სიტუაციებში გარემოს ზემოქმედების ფაქტორების და სიტუაციების ანალიზი, მოვლენების შესაძლო განვითარების პროგნოზი- რება, არსებული და შესაძლო რისკის განსაზღვრა, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება, დასკვნის დასაბუთება; • სამუშაო პროცესში წარმოქმნილი სოციალური, პროფესიული, ეთიკური პრობლემების ამოცნობა, სიტუაციის შეფასება, კრიზისული ან კონფლიქტური სიტუაციის გამომწვევი მიზეზის, მომხდარი ფაქტების და მოვლენების ანალიზი, კონფლიქტების გადაჭრის ან კრიზისული სიტუაციების დაძლევის მიზნით ადეკვატური ხერხების გამოყენება, განსხვავებულ სოციალურ, კულტურულ, ეთნიკურ და სხვ. გარემოში ადაპტირება, სოციალურ ჯგუფებთან თუ პიროვნებებთან ურთიერთობის სწორი ქცევითი სტრატეგიების შერჩევა, პიროვნული თვისებების, ქმედებების და მათი გამომწვევი მიზეზების ადეკვატური შეფასება, ანალიზი, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, ქცევითი სტრატეგიის ჩამოყალიბება, ადეკვატური მოქმედება; • ინდივიდუალური ქცევის, გუნდური მუშაობის, ინტერპერსონალური კომუნიკაციის კომპლექსური საკითხების ცოდნის საფუძველზე სამუშაო გარე- მოში ჩამოყალიბებული ურთიერთობის, ადამიანთა ქცევაზე ინდივიდუალური მოტივაციის გავლენის, სამუშაოსადმი მათი დამოკიდებულების, პი- როვნული თვისებებისა და ქმედებების გააზრება, ადეკვატური შეფასება, სიტუაციის ანალიზი, განსხვავებული მოსაზრებების შედარება-შეპირისპი- რება, განსხვავებების და მსგავსების დანახვა, რაციონალური ქმედების შერჩევა პრობლემის გადაჭრის და კონფლიქტების მოგვარების მიზნით; • პრაქტიკულ საქმიანობაში საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმების გათვალისწინებით პრობლემის შეფასება, არსებული სიტუაციების და პრობლემების განხილვა საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტებთან მიმართებაში, მონაცემების და ინფორმაციის განმარტება, განზოგადება და • დაკონკრეტება, საერთაშორისო მოთხოვნების და წესების შესაბამისად სიტუაციის ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.___
კომუნიკაციის უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • წეპირი და წერითი კომუნიკაცია: პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული დეტალური წერილობითი დოკუმენტაციის/ანგარიშების და სხვ. მომ-

	ზადება და ზეპირად წარდგენა, ინფორმაციის მიღება და გადაცემა, არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბება და საუბარი დარგის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან რუსულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე (ბნსუ-ში/გეუ-ში ჩარიცხვის შემთხვევაში); წერასა და ზეპირმეტყველებაში საზღვაო ინგლისური და რუსული ენების და გემის მექანიკის ტერმინოლოგიის, შესაბამისი გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციების სწორი გამოყენებით: გემის მექანიკოსის მოვალეობების შესრულება, სხვადასხვა ტექნიკური და საქმიანი დოკუმენტების შედგენა და თარგმნა, საქმიანი კორესპონდენციის წარმოება, საქმიანი კომუნიკაციის დამყარება, გემის მექანიკოსის მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული სპეციალიზირებული ლიტერატურის წაკითხვა, ინსტრუქციების, დოკუმენტების, ბრძანებების, მითითებების, რეკომენდაციების და სხვ. შინაარსის სწორად გაგება, ინტერპრეტაცია, გაანალიზება, განმარტება, ინტერპრეტაცია და გემის ეკიპაჟის წევრებისთვის სწორად გადაცემა. სამაშველო ოპერაციებში მონაწილეობა, საუბრის წარმოება რადიოტელეფონით და გადარჩენის ოპერაციებისას კონტაქტის დამყარება, ფაქტების, მოვლენების და სიტუაციების აღწერა, მონაცემების/ინფორმაციის მიღება-გადაცემა და განმარტება, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ წინადადების, მოსაზრებების ჩამოყალიბება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად, გადაზიდვების კომერციული და გემის მენეჯმენტის ორგანიზების პროცესში მიღებული მონაცემების, არსებული პრობლემების, დაგეგმვის შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის მიწოდება გემის კაპიტანისთვის და გემთმფლობელ კომპანიისთვის შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით, გემის მულტინაციონალურ ეკიპაჟთან კომუნიკაცია, ენის მატარებელთან საუბრის წარმართვა ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე, ინფორმაციის გადაცემა როგორც საზღვაო სფეროს სპეციალისტებისთვის, ისე არასპეციალისტებისათვის; • თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება: საზღვაო დარგის სპეციალიზირებული კომპიუტერული პროგრამების და სისტემების გამოყენება, კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით გრაფიკული გამოსახულებების აგება და საინჟინრო პროექტების გრაფიკული უზრუნველყოფა, მასალების დამუშავება, ანგარიშების და პრეზენტაციების მომზადება და სხვ. ელექტრონულ დოკუმენტებთან, ცხრილებთან და სხვ. მუშაობა, ელემენტარულ დონეზე მონაცემთა დაცვა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების, კონკრეტული ამოცანის შესრულების, კომუნიკაციის დამყარების მიზნით.
სწავლის უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: • ბაკალავრიატში მიღწეული კომპეტენციების ობიექტური თვითშეფასება; • კომპეტენციების სრულყოფის მიზნით სხვადასხვა რესურსების (საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საინფორმაციო წყაროების, დარგობ- რივი/სპეციალური ლიტერატურის და სხვ.) გამოყენება, უცხო საკითხების მინიმალური დახმარებით დამუშავება; • პროფესიულ საქმინობაში ინოვაციების გათვალისწინების, უწყვეტი განათლებისა და თვითგანვითარების აუცილებლობის გაცნობიერება, საკუთარი • სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.
ღირებულებები	კურსდამთავრებულს აქვს: • საზღვაო სფეროში არსებული ეთიკური პრობლემების ამოცნობისა და გაცნობიერების უნარი, პროფესიონალური, ეთიკური, სოციალური ნორმების ცოდნა და მათი დაცვის პასუხისმგებლობა; • პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ასპექტების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების თავისებურებების, საზოგადოების წევრების განსხვავებული ეთნიკური, კულტურული, სოციალური და სხვ. ღირებულებების გააზრებისა და გათვალისწინების უნარი; • • საზღვაოსნო ტრადიციების დაცვის, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაცია.

Educational Program Title: **Marine Navigation**
Level of education: First stage of Higher education / BA
Qualification: Bachelor of maritime Science
Program capacity: 240 credits; (1 credit include 26 hours).
Language of the study: The program will be implemented in the English language.
Admission Prerequisites: Faculty Enrollment takes place In accordance with the Georgian legislation.

Educational program Relevance: On the background of the ongoing reforms in Georgia, When the Marine industry is experiencing fundamental changes and strives to take Strong position in the international space and Moving on to a new level, training of maritime specialists according to National and international educational standards has become especially urgent. The program is directed to the norms established by the International Maritime Organization and the National Educational Standards for specialist education, which should have a deep and fundamental knowledge in the field of international cooperation in space for the necessary skills and ethical principles.
Undergraduate educational program "Marine navigation", prepares Bachelor students of Marine science and Intended 3000 and more capacity of deck officer and captain for the training of the ship operation and management level.
The program was developed taking into account the Georgian Law of Higher education, diplomas and sailors training laws. Also, according to the International Convention of STCW 78/95, IMO-normative documents and International maritime classification societies requirements and ISO 9001-2008 quality system standards.

Educational program purpose:
-Bachelor of maritime Science should be prepared with the basics of marine navigation, marine practice - focused on the operational work of the specialist, and pose a particular problem solving skills;
-To prepare a solid base of knowledge and transferable skills for maritime Bachelor of Science, which is easily capable of dynamically changing environment, and will be contemporary and relevant competency requirements with a qualified and competitive specialist;
- Prepare person with liberal values , high civic awareness and activism, humanity, democracy, Who can understand and protect as his/her own countries well-being of the population, economic strength, defense, defense of democratic principles and understanding, what is more will be able on adequate international scene, ethnic and religious tolerance-based activities;
-Bachelor of maritime science must be prepared in accordance with his/her choice and the structure of the educational program;
-Prepare the BA, which has acquired knowledge, and if he/she desired continue study of the next level of educational program, acquired knowledge will help.
-By the Bachelor's educational program "Marine navigation", students should be prepared as qualified ship's personnel. The program provides opportunities for graduates to take the next rank, and took up position – as assistant of the captain of the ship - according to the "diplomas and sailors training" law of Georgia. Career growth is directly connected with the experience of student and if has taken all additional courses.

Learning Outcomes

Knowledge and Understanding	**Aware of:** Basic concepts of navigation, maritime maps, navigation equipment and their use, Swimming in extraordinary cases and Determining the location of the ship in the ocean,to sail on the best route, Principles of coastal navigation, Marine signals and signaling stations, The consideration of tidal stream, navigational preparation for the sailing, Elements of Marine Hydrography, Maintenance organization of Safety navigation at sea; safety management principles of ships, Marine security alarm, Navigational watch organization, Ship mooring and berthing operations, Navigation in ice and storm conditions, Cargo and passenger operations in the sea,the actions in emergency situations; towing at sea. • Ship's and its equipments technical datas and main dimensions, the deployment of a common scheme. Mooring and anchorage, their equipment. Navigational and electro-radio navigational equipment, ships handling devices in navigational bridge. Ship's masting and tackle, cargo handling equipment. • The ship sailing. The ship initial stability • Classification of ships. Building structures, machinery and ship systems. Sailing vessel. Sustainable Ship. • The major international Marine conventions and the requirements to ensure security of Marine navigation; • Classification of hydro-meteorological events, the production of standard hydrometeorological observations,read sinoptical maps, Making short-term weather forecasts, weather observations by coding of FM-22; • principles of spherical astronomy and sea, recognition of main navigational co-stars , Work with astronomical instruments (Sexstant, star globe and the measuring

